

## საინფორმაციო ფურცელი

შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაზღვევის პირობების შესახებ არასრულ ინფორმაციას. საინფორმაციო ფურცელი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე და მისი გაცნობა და სადაზღვევო კომპანიის მიერ მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს მხარეთა შორის.

- მზღვეველი: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (ს/კ 205023856)  
მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. #88/15
- დაზღვევის ხელშეკრულების სახე: ავტომფლობელთა მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა
- ფრანშიზა: 0 ლარი
- ფინანსური ხარჯი სადაზღვევო პრემიის გარდა: არ არის გათვალისწინებული
- სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი: განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში
- ანაზღაურებას ექვემდებარება (სადაზღვევო რისკები):

უფლებამოსილი მძღოლის მიერ, სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

- გამონაკლისები (ანაზღაურებას არ ექვემდებარება):
  - ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტს მართავს ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლი, ასევე იმ სამკურნალო პრეპარატების მიღებისას, რომლის ანოტაციის მიხედვით სახიფათოა ავტომობილის მართვა.
  - ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტს მართავს პირი, რომელსაც არ აქვს ან დროებით ჩამორთმეული აქვს მოცემული კატეგორიის ავტოტრანსპორტის მართვის უფლება.
  - არ დაიფარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას ან რომელსაც დროულად არ გაუვლია სავალდებულო (ასეთი მოთხოვნის არსებობისას) ტექნიკური დათვალიერება და აღნიშნული გაუმართაობა გახდა ზიანის მიყენების ან მისი ოდენობის გაზრდის მიზეზი.
  - არ დაიფარება უფლებამოსილი მძღოლის ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის მგზავრების გარდაცვალება ან მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი.
  - ანაზღაურება არ გაიცემა ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის, უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას ან მესამე პირთა ქონებას, რომელიც

სადაზღვევო შემთხვევის დროს იმყოფება დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ან დამზღვევის მეთვალყურეობის ქვეშ.

- არ ანაზღაურდება მესამე პირის გარდაცვალება/ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, თუ იგი გამოვლინდება ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის შემდეგ.
- ანაზღაურება არ გაიცემა ავტოტრანსპორტის შეუსაბამო საგზაო პირობებში გამოყენებისას (ავტომობილის ისეთ ადგილებში გამოყენება, რომელიც არ არის განკუთვნილი ავტომობილის მოძრაობისთვის).
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი მოძრაობს საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით.
- ანაზღაურება არ გაიცემა მზღვეველთან შეუთანხმებლად, ავტოტრანსპორტის გამოყენებისას სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარება, საგზაო პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი და ა.შ.) მიზნით.
- არ ანაზღაურდება რბოლებში მონაწილეობის დროს დამდგარი ზარალი, დაზიანება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road).
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.
- არ დაიფარება დამზღვევის / უფლებამოსილი პირის მიერ გადახდილი კომპენსაცია ან პირობა ზიანის კომპენსაციაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- სხვა მოქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს.

აგრეთვე, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუ დამზღვევი:

- შემთხვევის დადგომისთანავე არ მიაწვდის მზღვეველს სრულ ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- დაუყოვნებლივ არ აცნობებს მზღვეველს მესამე პირისგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;
- აღიარებს საკუთარ პასუხისმგებლობას და გასცემს პირობას ზიანის კომპენსაციაზე მზღვეველთან შეთანხმების გარეშე;
- შემთხვევის დადგომისთანავე არ განაცხადებს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში;
- არ შეინარჩუნებს დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის მდგომარეობას უცვლელად, მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე და ფოტოგადაღებამდე (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნისა);
- 10 სამუშაო დღის შემდეგ წარუდგენს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია უფლებამოსილი მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დამზღვევის წარმომადგენელმა);
- ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში დამზღვევი/დამზღვევის წარმომადგენელი/უფლებამოსილი მძღოლი არ წარუდგენს მზღვეველს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ და დაზღვევის პირობებით განსაზღვრულ დოკუმენტებს; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის/უფლებამოსილი

მძღოლის/ დამზღვევის წარმომადგენლის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;

- დაიწყებს ავტოტრანსპორტის შეკეთებას მზღვეველის თანხმობის გარეშე;
- დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების თაობაზე;
- მზღვეველს არ წარუდგენს დაზღვევის პირობებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას;

ასევე:

- თუ კომპეტენტური ორგანოები ფლობენ მასალებს ან საფუძვლიან ვარაუდს, რომელიც მზღვეველს აძლევს საფუძველს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, მზღვეველს აქვს უფლება გადაავადოს ანაზღაურების გაცემა საჭირო ვითარების გარკვევამდე. ამ შემთხვევაში მზღვეველი დამზღვევს წარუდგენს გადავადების საფუძვლად არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:
  - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე დამზღვევმა მზღვეველს უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ცხელ ხაზზე (2 949 949);
  - დამზღვევი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;
  - დამზღვევი ვალდებულია, შემთხვევის დადგომისთანავე განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა);
  - დამზღვევი ვალდებულია, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია უფლებამოსილი მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დამზღვევის წარმომადგენელმა);
  - ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში დამზღვევმა/დამზღვევის წარმომადგენელმა/უფლებამოსილმა მძღოლმა უნდა წარუდგინოს მზღვეველს საქმის წარმართვისათვის აუცილებელი და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას ზიანის დადგომის თაობაზე მიღებული შეტყობინება ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის/ დამზღვევის წარმომადგენლის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;
  - დამზღვევი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) თაობაზე;
  - დამზღვევი ვალდებულია, შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:

- წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;
- სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
- ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სარეგისტრაციო მოწმობის წარუდგენლობა, დაზღვეულის ნების საწინააღმდეგოდ, გამოწვეულია ყაჩაღობის/ძარცვის ფაქტით;
- უფლებამოსილი მძღოლის მართვის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;
- მზღვევლის მოთხოვნის საფუძველზე დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა ფაქტთან, მის გამომწვევ მიზეზებთან და ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაზღვეულის მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული. ამასთან, თუ კომპეტენტური ორგანოები ფლობენ მასალებს ან საფუძვლიან ვარაუდს, რომელიც მზღვეველს აძლევს საფუძველს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, მზღვეველს აქვს უფლება გადაავადოს ანაზღაურების გაცემა საჭირო ვითარების გარკვევამდე. ამ შემთხვევაში მზღვეველი დამზღვევეს წარუდგენს გადავადების საფუძვლად არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

## ➤ პრეტენზიის წარდგენა

სადაზღვევო მომსახურების შესახებ წარმოქმნილი პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია:

- ქოლ-ცენტრთან დაკავშირების გზით ნომერზე: +995 32 2949 949;
- წერილობითი განაცხადით მისამართებზე:
  - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #88/15
  - ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #35/31
  - ქ. ქუთაისი, წმ. ნინოს ქ. #1/38
  - ქ. თელავი, ალ. ვარდოშვილის ქ. #22
  - ქ. ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. #15
  - ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. #64
  - ქ. მარნეული, გიორგაძის ქ. #1

- ელექტრონულად ელ. ფოსტაზე: [quality@irao.ge](mailto:quality@irao.ge)

პრეტენზიის განხილვა მოხდება მომსახურების ხარისხის და კლიენტების კმაყოფილების მართვის სამსახურის მიერ, წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მომხმარებლებისთვის შემოსულ პრეტენზიებზე პასუხის მიწოდება ხორციელდება შემოსვლის წყაროს იდენტიურად ან მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული მოთხოვნის შესაბამისად (სატელეფონოდ, წერილობით, ელ. ფოსტაზე).

მომხმარებლებს საშუალება აქვთ, შემოსვლის წყაროს მიუხედავად, მოითხოვონ ოფიციალური წერილობითი პასუხი.

➤ მზღვევის საზედამხებელო ორგანო

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებელობის სამსახური  
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3  
ტელ: +995 32 223 44 10  
ვებგვერდი: [www.insurance.gov.ge](http://www.insurance.gov.ge)